



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 141
2016 წლის 11 ივლისი
ქ. თბილისი

**გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის
ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ**

„გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, „2016 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 21 აპრილის N77 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, ხატია ანანიაშვილის 2016 წლის 7 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (N838437) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

დამტკიცებულია
 სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
 ფონდის გენერალური დირექტორის
 2016 წლის 11 ივლისის №141 ბრძანებით

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსიდან მოხსნილი
 საპროექტო განაცხადები

N	შიფრი	პროექტის სახელწოდება	წამყვანი ორგანიზაცია	შენიშვნა
1.	216826	საქართველოში ფსიქიკური ავადმყოფების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევათა ანალიზი	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ორგანიზაციის სტატუსი არ შეესაბამება კონკურსის პირობების მე-3 მუხლის, 1 პუნქტის, ა) ქვეპუნქტის მოთხოვნებს - თანამონაწილე ორგანიზაცია არის შპს აკად. ბ. ნანეიშვილის სახ. ხონის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
2.	216958	ინოვაციური მაღალი ტექნოლოგიებისა და კლინიკური აპარატურების შექმნა და გამოყენება კიბოს ზედაპირული (კანის და კანქვეშა), სწორი ნაწლავისა და საშვილოსნოს ყელის სიმსივნური დაავადების სამკურნალოდ	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ორგანიზაციის სტატუსი არ შეესაბამება კონკურსის პირობების მე-3 მუხლის, 1 პუნქტის, ა) ქვეპუნქტის მოთხოვნებს - თანამონაწილე ორგანიზაცია არის შპს კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი
3.	216988	წინარე ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები აფხაზეთის ტერიტორიაზე	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	ვერ დადგინდა პროექტში კონკურსის პირობების, მე-3 მუხლის, მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ახალგაზრდა მკვლევარის მონაწილეობა
4.	216750	ქარის ჩაზნექილ-სპირალური და მზის ელემენტებიანი ჰიბრიდული ენერგეტიკული დანადგარი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დანართ 5-ში ბიუჯეტის მეორე წლის წლიური ლიმიტი გადაჭარბებულია, შეადგენს 121800 ლარს
5.	216792	სოფლის მეურნეობის მდგრადი ინტენსიფიკაცია ზოგიერთი სს კულტურების (კარტოფილი, სალათი) კულტურათაშორის სისტემის დანერგვის გზით და საქართველოში კვების რაციონის გამდიდრება ბატატის ინტროდუცირებით ქვეყანაში	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	დანართ 5-ში ბიუჯეტის მეორე წლის წლიური ლიმიტი გადაჭარბებულია, შეადგენს 121600 ლარს
6.	216810	მცენარეული წარმოშობის კვების პროდუქტების ტექნოლოგიების შემუშავება და ლაბორატორიული სტენდების მოწყობა	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი	1. დანართ 5-ში ძირითადი პერსონალის ყოველთვიური საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის ყოველთვიური ანაზღაურების ჯამური ოდენობა აღემატება ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 45 პროცენტს; 2. ზედნადებ ხარჯში მოთხოვნილი თანხა აღემატება ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 7 პროცენტს; 3. პირველ და მეორე საანგარიშო პერიოდში, ფონდიდან მოთხოვნილი თანხები აჭარბებს 60 000 ლარს; 4. პირველი წლის ბიუჯეტი აღემატება 120 000 ლარს;
7.	216820	აბრეშუმის გზის და ანაკიის პორტის მშენებლობისთვის საჭირო სპეცემენტების მიღება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიის აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი

8.	216830	ქართული ენის ელექტრონული მორფოლოგიური ლექსიკონი	ენის მოდელირების ასოციაცია	1. დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიას აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი; 2. მეორე წლის ბიუჯეტი გადაჭარბებულია, შეადგენს 130000 ლარს
9.	216836	ტექნოლოგიების გამოყენება მათემატიკური განათლებისათვის საქართველოში	სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი	1. დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიას აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი; 2. მეორე წლის ბიუჯეტი გადაჭარბებულია, შეადგენს 120200 ლარს; 3. არ არის წარმოდგენილი დანართი 5-ის ქართულენოვანი ვერსია;
10.	216838	მალატემპერატურული მიკრონიზაციის მეთოდით გაზრდილი კვებითი ღირებულების პროდუქტების წარმოება	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიას აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი
11.	216844	ვულკანური ფერფლის გამოყენებით მსუბუქი თბოსაიზოლაციო და ენერგოდამზოგი ნაკეთობის მიღების ტექნოლოგიის დამუშავება	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	1. დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიას აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი; 2. მეორე წლის ბიუჯეტი გადაჭარბებულია, შეადგენს 127900 ლარს
12.	216864	იონიზირებული წყლის გამოყენებით სასოფლო სამეურნეო პროდუქტების შენახვის ტექნოლოგიის და ტექნიკის დამუშავება.	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიას აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი
13.	216878	ხუროთმოძღვრული ძეგლების ინტერაქტიური ისტორიულ-გეოგრაფიული მულტიმედია ატლასი და მონაცემთა ბაზა	საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოება	დანართ 5-ში ბიუჯეტის მეორე წლის წლიური ლიმიტი გადაჭარბებულია, შეადგენს 120200 ლარს
14.	216898	ფოლადსადნობი და ფეროშენადნობთა წიდების გადამუშავების ტექნოლოგიისა და დანადგარის შექმნა	სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი	დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიას აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი
15.	216906	თორიუმი-თანამედროვე ცივილიზაციის მომავლის ენერჯია და მისი მადანგამოვლინებების კვლევა საქართველოში	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიას აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი
16.	216910	ახალი ადგილობრივი სამშენებლო მასალების ბგერა და თბო საიზოლაციო თვისებების კვლევა	სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი	დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიას აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი
17.	216912	ქართული მთის ჯიშის აჭარული პოპულაციის შესწავლა ბიომეურნეობის შექმნის მიზნით	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი	დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიას აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი
18.	216964	დისტანციური მაგნიტური ზონდირების ხელსაწყოებში სიშორისა და გარჩევითობის გაზრდა დიამაგნეტიკების გამოყენებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	1. დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიას აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი; 2. ძირითადი პერსონალის ყოველთვიური საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის ყოველთვიური ანაზღაურების ჯამური ოდენობა აღემატება ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 45 პროცენტს; 3. ზედნადებ ხარჯში მოთხოვნილი თანხა აღემატება ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 7 პროცენტს;

19.	216978	მონო- და მულტიფუნქციური სორბენტების გამოყენებით წყლებიდან ორგანული და არაორგანული პოლუტანტების მოშორება	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დანართ 5-ში პირველ და მეორე სასწავარიშო პერიოდში, ფონდიდან მოთხოვნილი თანხები აჭარბებს 60 000 ლარს; 2. პირველი წლის წლიური ლიმიტი გადაჭარბებულია, შეადგენს 122400 ლარს
20.	216990	სილიციუმის კარბიდის კომპოზიციური საჯავშნე კერამიკა და მისი შეხვევის ახალი ტექნოლოგია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიას აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი
21.	216994	მავნე გავების პლაზმოქიმიური გადამუშავების რეაქტორის (მგპგრ-ის) სამრეწველო ნიმუშის შექმნა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიას აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი
22.	217014	სილიციუმისა და სელენის შემცველი ჰუმინური ნაერთების მიღება და გამოყენება საკვებ დანამატებად მეფრინველეობაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	არ არის შევსებული დანართი 5-ის ინგლისურენოვანი ვერსია (ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება)
23.	217018	საქართველოს კარტოგრაფიული ონლაინ კატალოგი და ინტერაქტიული რუკა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1. არ არის წარმოდგენილი დანართი 5-ის ქართულენოვანი ვერსია (ბიუჯეტი და დასაბუთება); 2. არ არის წარმოდგენილი დანართი 6-ის ქართულენოვანი ვერსია
24.	217022	ხელოვნური თესლის წარმოება მცენარეთა გამრავლებისა და გენეტიკური რესურსების კონსერვაციისათვის	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დანართ 5-ის ინგლისურენოვან ვერსიას აკლია ბიუჯეტის დასაბუთების ტექსტი
25.	216666	სისხლის დინების მონიტორინგის დანერგვის აუცილებლობა ენდემური ჩიყვის დროს	რეოლოგთა საზოგადოება	არ არის წარმოდგენილი დანართი 2-ის ინგლისური ვერსია, მის ნაცვლად დანართი 3-ის ინგლისური ვერსია არის ატვირთული მეორედ;
26.	216922	სარწყავი წყლის დეფიციტის აღმოფხვრის პროექტი,	ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	არ არის წარმოდგენილი დანართი 4-ის ინგლისურენოვანი ვერსია ყველა ძირითადი პერსონალისთვის (მხოლოდ ერთი ძირითადი პერსონალის CV არის წარმოდგენილი)
27.	216956	ახალი წყალმარაგმულირებელი კომპოზიტისა და მრავალფუნქციური მასალების მიღებისა და გამოყენების ტექნოლოგიები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი	არ არის წარმოდგენილი დანართი 4-ის ინგლისურენოვანი ვერსია ყველა ძირითადი პერსონალისთვის (მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელის CV არის წარმოდგენილი)
28.	217000	ბაქტერიოფაგების პროფილაქტიკური და სამკურნალო მოქმედების ეფექტურობის შეფასება ფრინველებში ინფექციური პროცესის მოდელის გამოყენებით	გ. ელიავას ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	არ არის წარმოდგენილი დანართი 4-ის ინგლისურენოვანი ვერსია ყველა ძირითადი პერსონალისთვის (მხოლოდ ერთი ძირითადი პერსონალის CV არის წარმოდგენილი)
29.	217016	ქართული წარმოების ციტრუსების გადამუშავების შედეგად მიღებული ანარჩენების გამოყენება ფრინველის კვებაში	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	1. არ არის წარმოდგენილი დანართი 4-ის ინგლისურენოვანი ვერსია ყველა ძირითადი პერსონალისთვის (მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელის CV არის წარმოდგენილი); 2. არ არის წარმოდგენილი დანართი 8-ის ქართულენოვანი ვერსია.

30.	217024	ტექნოგენური და ანტროპოგენური მყარი ნარჩენების კომპლექსური უტილიზაციის ტექნოლოგიის დამუშავება და გამოცდა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1. არ არის წარმოდგენილი დანართი 4-ის ინგლისურენოვანი ვერსია ერთი ძირითადი პერსონალისთვის; 2. არ არის წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის ქართულენოვანი დოკუმენტაცია (დანართები 2-9)
31.	216696	ახალი ტიპის კატალიზატორი ავტომობილის გამონაბოლქვის კატალიზური კონვერტორებისათვის	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლადის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი	არ არის წარმოდგენილი დანართი 4-ის ქართულენოვანი ვერსია ერთი ძირითადი პერსონალისთვის
32.	216940	სუპერპარამაგნეტიკების დამაგნიტება, არაწრფივი მაგნიტორეზონანსული რეჟიმები და მათი პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივები	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	არ არის წარმოდგენილი დანართი 7-ის ქართულენოვანი ვერსია
33.	216930	ბიოჩიპის ტექნოლოგია ნაყოფის და ახალშობილებისათვის საშიში ინფექციების ადრეული დიაგნოსტიკისთვის	ი. ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ე.ანდრონიკაშვილი ფიზიკის ინსტიტუტი	არ დადგინდა ახალგაზრდა მკვლევარის (კონკურსის პირობების მე-3 მუხლის, მე-4 პუნქტის მიხედვით) ჩართულობა პროექტში
34.	216946	მოდულიზირებული ცეოლითების შესწავლა/გამოყენება	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	არ დადგინდა ახალგაზრდა მკვლევარის (კონკურსის პირობების მე-3 მუხლის, მე-4 პუნქტის მიხედვით) ჩართულობა პროექტში